სოციალური პასუხისმგებლობის ფაქტორი თანამედროვე ბიზნესში

ია ჯიმშიტაშვილი
ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის
სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

ნანა რინკიაშვილი
ი. გოგებაშვილის სახელობის თელავის
სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

აბსტრაქტი

სტატიაში განვიხილავთ ბიზნესის მიმართ სოციალური პასუხისმგებლობის ტიპებს, მის დადებით და უარყოფით ეფექტებს, საქართველოში მოქმედი თანამედროვე ბიზნეს კომპანიების სოციალური პასუხისმგებლობის მაგალითებს. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მეცნიერი (მ. ფრიდმანი თვლიდა, რომ მხოლოდ კერძო პირებს შეუძლიათ სოციალური პასუხისმგებლობის აღება) მიაჩნიათ, რომ ბიზნესის მოქმედების არსი და პრინციპები გამორიცხავს ასეთ საქმიანობას და ის უნდა იყოს მიმართული მხოლოდ მოგების მიღებაზე, მაინც ეს საკითხი ძალიან პოპულარულია და ინიციატივა. პოპულარულია ბიზნეს ორგანიზაციები საზოგადოების საკეთილდღეოდ.

საკვანძო სიტყვები: ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობა, თანამედროვე ბიზნესი, ბიზნეს კომპანიები

SOCIAL RESPONSIBILITY FACTOR FOR MODERN BUSINESS

Ia Jimshitashvili,
Professor at I. Gogebashvili
Telavi State University
Nana Rinkiashvili
Professor at I. Gogebashvili
Telavi State University

ABSTRACT

In the article we discusse the types of social responsibility for business, its positive and negative effects, examples of social responsibility of modern business companies operating in Georgia. Although some scientists (M. Friedman believed that only private individuals can have social responsibility) believe that the essence and principles of business operation exclude such activity and it should be aimed only at making a profit, still the issue is very popular, and the initiative of business organizations for the benefit of society is popular.

Key words: Business Social Responsibility, modern business, business companies.

* * * *

მე-20 საუკუნის დასაწყისიდან ძალიან პოპულარულია ბიზნეს ორგანიზაციების ინიციატივა სოციუმის საკეთილდღეოდ, ბიზნესი ცდილობს რომ მონაწილეობა მიიღოს საზოგადოების პრობლემების გადაჭრაში, გაითვალისწინოს მათი ინტერესები, საჭიროებები. გამოიჩინოს კეთილი ნება რათა დახმარება გაუწიოს სხვადასხვა საჭიროების მქონე ადამიანებს. ამგვარმა ქმედებამ ისეთი დადებითი შედეგი შეიძლება მოუტანოს კომპანიებს როგორიცაა მაგალითად მომხმარებელთა ერთგულების გაზრდა, კონკურენციაში პოზიციების გამყარება, იმიჯის გაუმჯობესება, მეტად კვალიფიცირებული ახალი პერსონალის მოზიდვა და არსებულის დამაგრება, ბიზნეს საქმიანობის ეფექტურობის გაზრდა და ა.შ.

თუმცა რა თქმა უნდა აუცილებელია მისი უარყოფით ჭრილშიც განხილვაც, მაგალითად თუ აღნიშნული პროცესი კარგად არ იქნება შესწავლილი და გაანალიზებული მან შესაძლოა დააზიანოს კომპანია, ასევე შესაძლოა მოიზიდოს სხვადასხვა ტიპის თაღლითები, რომლებიც საკუთარ ინტერესში გამოიყენებენ ნებისმიერ აქციას, დახარჯული რესურსი კომპანიის მიერ შესაძლებელია სხვა ბიზნეს ოპერაციებში იქნეს გამოყენებული რომელიც დაარღვევს მოგების მიღების მაქსიმიზაციის პრინციპს, ამა თუ იმ სოციალური პრობლემის გადაჭრისათვის შესაბამისის ცოდნისა და უნარების (გამოცდილების) უკმარისობა; მოსახლეობის ნაწილისაგან შესაძლოა უარყოფითი რეაქციაც მოყვეს, განსაკუთრებით თუ იგი ეხება რელიგიურ, ეთნიკურ, კულტურულ ან მსგავს თემებს და ა.შ.

მიუხედავად იმისა, რომ მეცნიერთა ნაწილი (მაგ. მ. ფრიდმანი თვლიდა რომ მხოლოდ კერძო პირებს შეიძლება ქონდეს სოციალური პასუხისმგებლობა) მიიჩნევს რომ ბიზნესის წარმოების არსი და პრინციპები გამორიცხავს ამგვარ საქმიანობას და იგი მხოლო მოგების მიღებისაკენ უნდა იყოს მიმართული, ასევე პრაქტიკოს ბიზნესმენთა ნაწილიც ეთანხმება ამგვარ დებულებებს და გამომდინარე მისი ნებაყოფლობითი ბუნებისაგან თვლიან რომ არ არის საჭირო სოციალური პასუხისმგებლობის აღება, დღეს თითქმის წარმოუდგენელია თანამედროვე ბიზნესი არ იყოს ჩართული საზოგადოების ცხოვრებაში. კომპანიის იმიჯი ხომ ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია კონკუ-

რენციაში წარმატების მისაღწევად და პრიორიტეტების მოსაპოვებლად, შესაბამისად მთელს მსოფლიოში (არც საქართველოა გამორიცხული) უამრავი მაგალითები არსებობს იმისი თუ რამდენად აქტიურად არის ჩართული ბიზნესი საზოგადოების კეთილდღეობის გაუმჯობესების საქმეში. განსაკუთრებით ეს აქტუალურია ახალგაზრდა თაობებში, რომლებიც ცდილობენ უკეთესობისაკენ შეცვალონ სამუშაო და სამომხმარებლო გარემო.

ბიზნესის სოციალურ პასუხისმგებლობას გააჩნია შიდა და გარე მიმართულებები:

- **შიდა მიმართულება** მოიცავს შრომის უსაფრთხოებას; ანაზღაურების სტიმულირებას; დაზღვევას; კვალიფიკაციის ამაღლებას; კრიტიკულ სიტუაციაში მუშაკებისთვის დახმარების გაწევას.
- **გარე მიმართულება** მოიცავს სპონსორობასა და ქველმოქმედებას; გარემოს დაცვას; ურთიერთობას ხელისუფლებასთან; ხარისხიანი პროდუქციის წარმოებას; მზადყოფნას კრიზისულ სიტუაციაში მონაწილეობის მისაღებად.

ორივე მიმართულება საკმაოდ მნიშვნელოვანია ბიზნეს კომპანიებისათვის, შიდა მიმართულება ორიენტირებულია ბიზნესში არსებული რესურსების უფრო ეფექტიანად გამოყენებისაკენ, ხოლო გარე მიმართულება ორიენტირებულია სოციუმში კომპანიის იმიჯის ამაღლებისაკენ, და მომხმარებელთა ერთგულების გაზრდისაკენ.

ამერიკული ბიზნესისათვის, ქართულისაგან განსხვავებით, დამახასიათებელია საკუთარი ფონდების ჩამოყალიბება, რომელთა საშუალებითაც ხდება სხვადასხვა აქციების წარმართვა, მაგალითად სხვადასხვა სამედიცინო მანიპულაციების დაფინანსება, სასკოლო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, რეკრეაციული ზონების შექმნა - რაც გლობალურ სამყაროში ერთერთი უმნიშვნელოვანესი ფენომენია. აქვე აღსანიშნავია რომ ამგვარი ფონდები სახელმწიფოს გადასახადებისაგან გათავისუფლებულია, ეს კი იმას ნიშნავს რომ ბიზნესის სოციალურ პასუხისმგებლობაში ერთერთ ძლიერ მოთამაშედ სახელმწიფო გვევლინება. მრავალმა კომპანიამ ამგვარი ფონდები ბევრი წლის წინ დააფუძნა (მაგ. General Electric-ის ფონდი ნახევარ საუკუნეზე მეტს ითვლის).

ძალიან მნიშვნელოვანია, აგრეთვე რომ კომპანიის სოციალური პასუხისმგებლობა ბმაში იყოს არა მარტო მორალთან და ეთიკასთან, არამედ კონკრეტული კომპანიის ბიზნესის სტრატეგიასთან და მის პრიორიტეტებთან, რადგან ქველმოქმედებისათვის გაწეულმა ხარჯებმა შესაძლებელია (როგორც ზემოთ ავღნიშნეთ) დიდი ზარალიც მოუტანოს მას.

რაც შეეხება ეროვნულ ბიზნეს კომპანიებს, ისინი თანდათან უფრო ხვდებიან სოციალური პასუხისმგებლობის მნიშვნელობას, აუცილებლობას და საჭიროებას და იზრდება მათი ჩართულობა გლობალურ პროცესებში - ქვეყნისა და მოსახლეობის საკეთილდღეოდ.

თიბისი ბანკი, მაგალითად, აქტიურადაა ჩართული სოციალური პასუხისმგებლობის საქმიანობაში, მათ შორის განათლების მხარდაჭერის საკითხში, მათ შექმნეს განათლების ახალი პროგრამა, რომელიც შედგება სხვადასხვა საგანმანათლებლო აქტივობებისაგან: ვორქშოფები, ონლაინ კურსები, კონკურსები, ჰაკათონები და სხვა. ასევე თიბისიმ, ახალი თაობისთვის, 2023 წელს ტექსკოლა დააარსა, რომლის მიზანიც ტექნოლოგიურ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდაა, ასევე თიბისი აქტიურად იყენებს შიდა მიმართულების სოციალურ პასუხისმგებლობას, მათ დააარსეს BrandX-ის (Brand Experience) აკადემია 2022 წლიდან, ამ პერიოდის განმავლობაში უკვე რამდენიმე ასეულმა თიბისელმა და თიბისის ჯგუფის წევრმა გაიარა აღნიშნული კურსი. აკადემიის შექმნის თავდაპირველი მიზანი მათი თანამშრომლებისთვის იმ პრაქტიკული ცოდნის და ინსტრუმენტების გაზიარება იყო, რაც თიბისის ბრენდის გამოცდილების შექმნისა და მართვის ნაწილში დიდ როლს თამაშობს.

გარდა ამისა მათი ერთერთი ძირითადი მიმართულებაა მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა, რითაც ხელი ეწყობა ქვეყანაში ეკონომიკის ზრდას, სამუშაო ადგილების შექმნას.

საქართველოს ბანკიც გამოირჩევა აქტიურობით, მოტივირებულ, მიზანდასახულ სტუდენტებს პირველივე კურსიდან აქვთ შესაძლებლობა, ჩაერთონ საქართველოს ბანკის სასტიპენდიო პროგრამაში, მიიღონ 100%-იანი ან ნაწილობრივი დაფინანსება და ისწავლონ პარტნიორ უნივერსიტეტებში. მათი დახმარებით ხდება საზღვარგარეთ ახალგაზრდების სტაჟირება სხვდასხვა მიმართულებით. ასევე შექმნილია საგანმანათლებლო პლატფორმა, პროგრამა, რომელიც შექმნილია ბიზნესით დაინტერესებული ადამიანებისთვის, იგი აერთიანებს მრავალფეროვან კურსებს.

„ალტე უნივერსიტეტის" ინიციატივით, მასშტაბური პროექტი შემუშავდა, რომელიც სკოლის მოსწავლეებს იდეების რეალიზების რეალურ შესაძლებლობას მისცემს. ეს არის სასკოლო Start-up მარათონი, რომლის მიზანიც, ისეთი მოსწავლეების აღმოჩენაა, რომლებსაც შეიძლება საინტერესო ბიზნეს იდეები აქვთ და არ იციან, ვისთან ან როგორ წარადგინონ ისინი.

პირველად საქართველოში, პროექტის #პროფესიასარაქვსგენდერი ფარგლებში „თეგეტამ" ქალებს სატვირთოს მექანიკოსობის შესაძლებლობა მისცა. კამპანია არასამთავრობო ორგანიზაციის — „მოძრაობა ცვლილებისთვის" ინიციატივით განხორციელდა და ითვალისწინებდა გენდერული სტერეოტიპების აღმოფხვრას.

„თეგეტა თრაქ ენდ ბასი", როგორც ქალთა გაძლიერების მხარდამჭერი კომპანია, აქტიურად ჩაერთო პროექტში. მექანიკოსობით დაინტერესებულმა ქალებმა „თეგეტა აკადემიაში" სატვირთო ავტომობილის აგებულების ერთთვიანი თეორიული

კურსი გაიარეს. ისინი ახლა „თეგეტა თრაქ ენდ ბასის“ სერვისცენტრში პრაქტიკულ სამუშაოებში არიან ჩართული, ხოლო სწავლების დასრულების შემდეგ კი პროექტში მონაწილე ქალები სატვირთო ავტომობილის მექანიკოსად დასაქმდებიან; ასევე თეგეტა განათლების წახალისების მიმართულებით მობილურ პროექტში ჩაერთო. „მოგზაური ბიბლიოთეკა“ - ასე ქვია ნეტგაზეთისა და ბათუმელების ახალ ინიციატივას, რომელიც კითხვის პოპულარიზაციას და საქართველოს მაღალმთიან სოფლებში დაცარიელებული ბიბლიოთეკების თაროების შევსებას ისახავს მიზნად;

ბოლო პერიოდში მსოფლიოში განვითარებულმა მოვლენებმაც ჰპოვა გამოძახილი საქართველოში, მაგალითად რუსეთ უკრაინის ომის პერიოდში, მრავალმა კომპანიამ უკრაინის მოქალაქეებისათვის განსაკუთრებული აქციები აწარმოეს, მაგალითად: “ჯეო ჰოსპიტალს“-ი სოლიდარობას უცხადებს უკრაინელ ხალხს და მათ მხარდასაჭერად იმ უკრაინის მოქალაქეებს, რომლებსაც საომარი მდგომარეობის გამო მოუწიათ საქართველოში დარჩენა, ჯეო ჰოსპიტალსის ქსელის მასშტაბით უფასო გადაუდებელ სამედიცინო დახმარებას და ექიმების კონსულტაციას სთავაზობს.

ტანსაცმლისა და აქსესუარების ქართული წარმოება Lacoaj-ი, კომპანიის ვებგვერდით გაყიდული პროდუქციით მიღებულ თანხას სრულად უკრაინის თავდაცვის ძალების მხარდამჭერ ფონდში გადარიცხავს;

კაფე-სანაყინეების ქსელი „ლუკა პოლარე“ საქართველოში მყოფი უკრაინელებისთვის დასაქმების პროგრამას იწყებს, ასევე, „ლუკა პოლარემ“ 50-მდე ადამიანს დასაქმება შეძლო. ქალბატონებს დასაქმება თბილისსა და ბათუმში არსებულ წარმოებაში გახდა შესაძლებელი;

მეამამაც გამოხატა მხარდაჭერა უკრაინელი ხალხის მიმართ. კომპანია საქართველოს წითელ ჯვარს უკრაინისთვის იმ ჰუმანიტარული დახმარების შეგროვებაში დაეხმარება, რისი საჭიროებაც დღეს უკრაინელ ხალხს ყველაზე მეტად აქვს. მეამას მიზანია, იმ ადამიანებს ვისაც სურვილი აქვთ უკრაინაში ჰუმანიტარული დახმარება გააგზავნონ, პროცესი გაუმარტივოს. ამისთვის, მეამამ მიწოდების სამსახურისა და სათავსოს სრული მობილიზაცია მოახდინა. ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, სპეციალურად უკრაინისთვის შექმნილ პლატფორმაზე შეუძლია გაეცნოს საჭირო ნივთებისა და პროდუქტების ჩამონათვალს. ამის შემდეგ, ჰუმანიტარული დახმარების გაგზავნის მსურველს, შეუძლია დააფიქსიროს მოთხოვნა პლატფორმაზე და შეიყვანოს სასურველი მისამართი, რის შემდეგაც კომპანიის წარმომადგენელი უახლოეს პერიოდში დაუკავშირდება მას.

დასკვნის სახით, ჩვენ ვთვლით, რომ ბიზნესის სოციალური პასუხისმგებლობის სფეროში ჩართული უნდა იყოს სამი მხარე: სახელმწიფო, ბიზნესი და საზოგადოება, მათი შეთანხმებული აქტიური კომუნიკაციით უნდა განხორციელდეს საზოგადოებაში არსებული საჭიროებების იდენტიფიცირება და მათი შემცირების გზების დასახვა და საშუალებების გამონახვა. ასევე მნიშვნელოვანი როლი აქვს მედიას, რომელიც ზემოთ ჩამოთვლილ მხარეებს შორის აქტიური მედიატორია.

ნათელია რომ, მსოფლიოში სოციალურად ორიენტირებული კომპანიების რაოდენობა კიდევ უფრო გაიზრდება, რადგან მათზე “ზეწოლა” მოთხოვნების თვალსაზრისით სახელმწიფოს და საზოგადოების მხრიდან მზარდია. გამოცდილებაც აჩვენებს, რომ წარმატებულთა რიცხვში ხვდებიან ის კომპანიები, რომლებიც არა მხოლოდ საკუთარი ბიზნესით ინტერესდებიან, არამედ უფრო გლობალურ, სოციალურ, ეკონომიკურ და გარემოსდაცვით პრობლემებზე ახდენენ ზეგავლენას. როგორც ავღნიშნეთ საქართველოშიც, მსოფლიო ტენდენციების გათვალისწინებით, მომრავლდნენ ბიზნეს ოპერატორები, რომლებიც აქცენტირებულნი არიან ამ მიმართულების განვითარებისაკენ და აწარმოებენ შესაბამის ანგარიშებს, მაგრამ მათ უნდა გაითვალისწინონ რომ ბიზნესის სოციალური საქმიანობა არ იყოს ქაოტური და მოექცეს გარკვეულ სისტემაში. ასევე, მჭიდროდ იყოს დაკავშირებული კომპანიის პრიორიტეტებთან და სტრატეგიასთან და გახადონ გამჭვირვალე და მისაწვდომი ფართო აუდიტორიისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. https://cutt.ly/qeK98kxU
2. https://investhub.ge/what-is-social-responsibility-in-business/
3. Fabiola Cineas, “Q&A With President of AmerisourceBergen Foundation,” Philly Magazine, November 23, 2016,
4. www.phillymag.com/business/2016/11/23/amerisource-bergen-foundation-gina-clark;
5. Eden Stiffman and Alex Daniels, “Grants Roundup: GE Foundation Awards $50 Million to Boston Organizations,” Chronicle of Philanthropy, April 6, 2016,
6. www.philanthropy.com/article/Grants-Roundup-GE-Foundation/235986;
7. Carol Cain, “General Motors Shakes Up Charitable Giving Organization,” Detroit Free Press, August 20, 2016,
8. www.freep.com/story/money/business/columnists/carol-cain/2016/08/20/general-motors-shakes-upcharitable-giving-organization/89003996.
9. https://bankofgeorgia.ge/ka/csr/details/65b79f95828a59000846e062
10. https://beta.tbcbank.ge/
11. https://www.tegetamotors.ge/ka/ganaTleba
12. https://cutt.ly/UeK98sPz